ოქმი:**ო37.37220241**
თარიღი:**24/01/2022**

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2022 წელი,
21 იანვარი
ქ. ოზურგეთი
15.00 -17 .00 საათი

თავმჯდომარეობდა : დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილეები: ტ. აროშიძე, ნ. გოლიაძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, პ. კიღურაძე, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ნ. ჭანიშვილი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ს. ქარცივაძე, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, ნ. ნადირაშვილი, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე. მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-გ. ღურჯუმელიძე.საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 40-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს.
საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ თ.ნიკოლაშვილმა მოითხოვა სხდომის გადადება იმ მოტივით, რომ წინასწარ, უშუქობის გამო, არ იყო გაცნობილი სხდომის მასალებს, რაც არ იქნა გათვალისწინებული სხდომის

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნათია გოლიაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პაატა კიღურაძე

საკრებულომ სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის პ.კიღურაძის ინფორმაცია მიიღო ცნობად.

1.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40-ხმით

2.3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 31 -ხმით, 9-წინააღმდეგი.

საკითხის განხილვისას, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ ირონიულად განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომამდე შეხვდა მოსახლეობას, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან იმით, რომ საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები იზრდიან ხელფასებს . მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ მხარი არ დაუჭირონ ამ დადგენილების პროექტს, მისი და ფრაქციის აზრით, მაშინ, როცა პირველადი მოხმარების პროდუქტებსა და საგნებზე, მედიკამენტებზე გასამმაგებულია ფასები არაადეკვატურია ხელფასების ასეთი ზრდა, საკრებულოს შესთავაზა შეეჩერებინა ხელფასების გაზრდა, მათ შორის აპარატის თანამშრომლებზეც მიმდინარე წლის მარტის თვემდე და ხელფასები გაეზარდათ საბავშვო ბაღების აღმზრდელ

პედაგოგებისათვის. ამ განცხადებას მოჰყვა ხმაური და დაპირისპირება. თანამომხსენებელმა ლ.ბიგვავამ განმარტა, რომ ხელფასების ზრდა განპირობებულია კერძო სექტორის მზარდი კონკურენციის პირობებში საჯარო სამსახურებში მაღალი კვალიფიკაციის კადრების შენარჩუნებისათვის.

მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ სიცრუეა თითქოს ვინმე შეპირებოდეს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერს ლ. ხაბიეშვილს, რომ საბავშვო ბაღების აღმზრდელ-პედაგოგებს ხელფასები გაეზრდებათ მიმდინარე წლის იანვრიდან, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერმა ა. თალაკვაძემ თავიდანვე განაცხადა- ხელფასები ამ კატეგორიის მუშაკებს გაეზრდებოდათ მიმდინარე წლის ივნისის თვიდან.

საკრებულოს წევრმა თ.ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ უსამართლობაა, როცა საბავშვო ბაღების აღმზრდელ-პედაგოგებს, მეეზოვეებს და სხვა მუშაკებს ასეთი მცირე ხელფასები აქვთ და საკრებულოს თანამდებობის პირები იზრდიან ხელფასებს. ფრაქცია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მხარი არ დაუჭირა ამ დადგენილებას.

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი 2021 წელს დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“-ს განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად, აღინიშნა-მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად საკრებულო განახორციელებს ღონისძიებებს იმ შენიშვნებისა და რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, რომელიც მოცემულია ანგარიშში.

1.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“-ს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40 -ხმით

საკრებულომ ცნობად მიიღო განცხადება „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შემადგენლობიდან ნ.გოლიაძის გასვლის თაობაზე.

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა ს. ქარცივაძემ ითხოვა საკრებულოსათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდისა და ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენის თაობაზე, რომელიც გააკეთა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ. საკრებულოს რამდენიმე წევრმა ითხოვა კონკრეტულ ადგილებზე თოვლის გაწმენდა.

2.6. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40-ხმით

საკრებულოს წევრმა ბ.მელუამ განაცხადა, რომ გეგმაში უზუსტობებია, რომელიც გასათვალისწინებელია.

3.7. ,,საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა40 -ხმით

4.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული საპროექტო იდეების მოწონების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40 -ხმით

3.9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა40 -ხმით

5.10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების

დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პაატა კიღურაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25 -ხმით

საკრებულოსა და სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად კანონმდებლობის შესაბამისად დაასახელა საკრებულოს წევრ ნ.ჭანიშვილის კანდიდატურა, კანდიდატმა თანხმობა განაცხადა ვაკანტურ თანამდებობაზე კენჭის ყრაზე, საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მისი კანდიდატურის საარჩევნო ბიულეტენში შეტანას. გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება.

შესვენების შემდეგ საკრებულოს 44 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 25-მა, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ გამოაქვეყნა ოქმი, რომლის თანახმად 25 -ხმით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი ნ. ჭანიშვილი. სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ მიულოცეს მას თანამდებობაზე არჩევა და უსურვეს წარმატებები.

სხდომა დახურულად გამოცხადდა

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი